საქართველოს მთავრობის განკარგულება

N 1347 2016 წლის 7 ივლისი ქ. თბილისი

საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 134-კმ 135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო დროებითი ღონისძიებების განხორციელების მიზნით გამონაკლისების დაშვების შესახებ

1. „ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 იანვრის №55 დადგენილებით დამტკიცებული ტექნიკური რეგლამენტის - „სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვისას ზედნადები ხარჯებისა და გეგმური მოგების განსაზღვრის წესის“ მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა-სტეფანწმინდა-ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ 134-კმ 135 მონაკვეთზე (დარიალის ხეობა) 2016 წლის 23 ივნისს განვითარებული სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო დროებითი ღონისძიებებისათვის საჭირო სამუშაოების განხორციელების მიზნით, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის

სამინისტროს გამგებლობაში არსებულ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებას – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს და შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ (ს/ნ: №205140257) (შემდგომში - მიმწოდებელი) შორის 2016 წლის 24 ივნისს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ს.ტ №2-16 ხელშეკრულებასთან (CMR 160127848) (შემდგომში - ხელშეკრულება) მიმართებით დადგინდეს გამონაკლისი, კერძოდ, მიმწოდებელი გათავისუფლდეს ხარჯთაღრიცხვის წარდგენის ვალდებულებისგან და ხელშეკრულების ფარგლებში შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვროს ფაქტობრივი დანახარჯების მიხედვით.

2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 21[1] მუხლის პირველი პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ხელშეკრულებაზე არ გავრცელდეს აღნიშნული წესის მე-11 და მე-12 მუხლებით დადგენილი მოთხოვნები და მიმწოდებელი გათავისუფლდეს ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიისა და წინასწარი ანგარიშსწორებისას გადასახდელი თანხის ოდენობის გარანტიის წარდგენის ვალდებულებებისგან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**